№ 269 დეკემბერი 12, პარასკევი 1886 დეკემბერი 12, პარასკევი № 269

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . .	10 —	6 . .	6 —
11 . .	9 50	5 . .	5 50
10 . .	7 75	4 . .	4 75
9 . .	8 —	3 . .	3 50
8 . .	7 25	2 . .	2 75
7 . .	6 50	1 . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

ტფილისი, 11 დეკემბერი

ბოლგარიის საქმემ მაინც ფეხი წინ ვერ წადგა მას აქედ, რაც გენერალი კაულბარსი ხელმწიფე იმპერატორის ბძანებით წამოვიდა ბოლგარიიდამ და თან წამოიყვანა ყველა კონსულები რუსეთისა და სადიპლომატო აგენტები. თუმცა ამის გამო ბოლგარიის საქმეს ახალი ხანა დაუდგა, მაგრამ სხვათა საქმეთა გამო იმოდენად შებორკილებულია, რომ მას აქედ ვერც წინ წასულა და ვერც უკან დაუხევია. სამი დიდი ბორკილი, რომლის გამოც ბოლგარიის საქმე ბრკოლდება და ერთს ალაგას, როგორც თილისმის წრეში, ტრიალებს, შემდეგია. ერთი ისა, რომ ბოლგარიის ეხლანდელი რეგენტობა და მისგან მოწვეული დიდი საერო კრება კანონიერად ცნობილი არ არის არც რუსეთის და არც ოსმალეთის მიერ და მინამ იგი რეგენტობა და იგი კრება არ გადადგება და არ დაუთმობს ადგილს სხვა რეგენტობას და სხვა კრებას, რომელთაც რუსეთი და ოსმალეთი კანონიერად შეიწყნარებს, იმ დრომდე ეს გარემოება ცოტად თუ ბევრად წინ გადაღობილი ექმნება ბალკანიის ნახევარ კუნძულის საქმეთა მდინარეობას. მეორე ის არის, რომ ბოლგარიის და აღმოსავლეთ რუმელიის გაერთების საქმე თუმცა უკვე განხორციელებულია, მაგრამ ჯერ დიდთა სახელმწიფოთაგან დამტკიცებული არ არის, როგორც ამას ითხოვს კონსტანტინეპოლის კონფერენციის განაჩენი და მესამე ისა, რომ ჯერ კანდიდატი ბოლგარიის მთავრად ნაპოვნი არ არის. ეს უკანასკნელი გარემოება ორს წინად ხსენებულს გარემოებაზედ ძლიერ და პირდაპირ დამოკიდებულია. ამის გამო ზოგნი სახელმწიფონი იძახიან, ვიდრე ეხლანდელი რეგენტობა არ დაეთხოვება და სხვა კანონიერი რეგენტობა არ მოჰკიდებს ხელს საქმეებს და ახალს კანონიერად არ ჩეულს დიდ საერო კრებას არ მოიწვევსო, იმ დრომდე უქმია ყოველი ლაპარაკი მასზედ თუ, — ვინ დაჯდეს ბოლგარიის მთავრის ტახტზედაო. სხვანი იძახიან , რომ მინამ ბოლგარიის და აღმოსავლეთ რუმელიის გაერთება რჯულიერად და კანონიერად გამორკვეულ და დამტკიცებულ არ იქმნება, იმ დრომდე ვერც ერთი წინ-დახედული და კეთილ-გონიერი კანდიდატი ვერ გაჰბედავს მთავრის ტახტზედ ასვლასა, რადგანაც იგი ტახტი ქვიშაზედ იქმნება დადგმული და ერთის ქარის შებერვით დაიფუშება და დაირღვევაო.

ამ სახით ერთს სახელმწიფოს ერთი დაუხვევია ხელზედ, მეორეს—მეორე და საქმე კი იჩიჩინება და უფრო-და-უფრო იწეწება ასე, რომ ბოლო და დასასრული არ უჩანს. მართალია, ბოლგარიის ეხლანდელმა რეგენტობამ სამი კაცი ამოირჩია დეპუტატებად და დაავალა, რომ ევროპიის დიდნი სახელმწიფონი მოიარონ, აცნობონ ეხლანდელი გაჭირებული მდგომარეობა ბოლგარიისა და სთხოვონ წამალი რამ დასდონ ეხლანდელს აშლილობას, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს დეპუტაცია ვერას გახდება ევროპაში. ვენაში ამ დეპუტაციას კალნოკისთან, ავსტრი-ვენგრიის საგარეო საქმეთა მინისტრთან ლაპარაკი ჰქონია, მაგრამ მაგდენი ნუგეში ვერა მიუღია რა. აქედამ დაუპირებიათ გრაფ ტისას ნახვა, მაგრამ ტისას უარი შემოუთვლია. გაზეთების სიტყვით, თითქმის ამისთანა ცივი წყალი დაუსხამთ დეპუტატთათვის ბერლინიდამაც, საიდამაც ჰერბერტ ბისმარკს შემოუთვლია,—მიღებით კი მიგიღებთ, მაგრამ როგორც კერძო კაცთა და არა ისე, როგორც დეპუტაციასაო; მაინც და მაინც გირჩევთო, სულაც არ მოხვიდეთ ბერლინშიაო. რუსეთის ელჩს ვენაში ხომ პირდაპირ და გადაწყვეტილად უთქვამს, რომ თქვენი პეტერბურგში მისვლა ყოვლად შეუძლებელიაო. უკანასკნელი გაზეთები ამბობენ , ვითომც ინგლისის საგარეო მინისტრსაც ძალიან შორს დაუჭერია დეპუტაციის მისვლა ლონდონში. ამბობენ, შემოუთვლია, რომ თუმცა სულით და გულით თანამოზიარენი ვართ ბოლგარიის გაჭირებისა , მაგრამ საპოლიტიკო საქმეთა გარემოება ნებას არ გვაძლევს ჯეროვანად მივიღოთ აქ ლონდონში იგი დეპუტაცია და შესაბამად დავხვდეთო და ამიტომაც ძალიან კარგი იქმნება, რომ დეპუტაციამ ეს მიიღოს მხედველობაში და ლონდონში მოსვლა არ ინებოსო.

თუ ეს ყოველივე მართალია და არა ცარიელი თვალთ-მაქცობა დიპლომატიისა , აშკარაა , ამ მხრით საქმის გამოკეთება და გასწორება საიმედო არ არის. სწორედ ამ დროს, ოსმალეთი, რომელიც თან-და-თან უფრო მეტს მეგობრობას და მომხრეობას იჩენს რუსეთის მიმართ, დიდ მეცადინეობაშია, რომ რუსეთს აამოს და მისი სიტყვა გაიყვანოს ბოლგარიაში. იგი დიდის გულ-მოდგინეობით სცდილობს თავადს მეგრელიისას ნიკოლოზს, რუსეთის მიერ ბოლგარიის მთავრად ნაჩვენებსა, გზა გაუხსნას ბოლგარიის ტახტზედ ასვლისათვის. ამ აზრით თვისი სურვილი უკვე გამოუცხადებია სულთანს დიდთა სახელმწიფოთათვის და აღუთქვამს, რომ ოღონდ ეს მოხდეს და ყოველს მიზეზს უკმაყოფილებისას რუსეთსა და ბოლგარიის შორის მე ვკისრულობ , რომ მოვსპოო. ამის მნახველმა ავსტრი-ვენგრიამ, რომელიც აღმაცერად უყურებს მეგრელიის თავადის კანდიდატობას, თავისი კანდიდატი დაასახელა და ამით კიდევ აჩიჩინა საქმე, რომელიც ამ რამდენისამე კვირის წინად ამ მხრით თითქმის გათავებასა და დასრულებაზედ იყო მიმდგარი . ეს ახალი ავსტრი-ვენგრიის კანდიდატი არის ფერდინანდი პრინცი საქსენ-კობურ-გოთისა. იგი დაიბადა ვენაში 1861 წელსა , კათოლიკეთა სარწმუნოებისაა და პარუჩიკია ავსტრიის ჯარისა. იგი შვილია ავსტრიის გენერალ-მაიორის პრინც ავგუსტისა , რომელიც გადაიცვალა 1881 წ. და დედა მისი კი კლემენტინა ორლეანის პრინცესაა, ქალიშვილი საფრანგეთის კოროლისა ლუი-ფილიპესი. იგი გათხოვდა 1845 წელსა და დღესაც ცოცხალია. პრინცი ფერდინანდი ნათესავად მოხვდება ინგლისის დედოფალს ვიქტორიასა, იმიტომ რომ მეუღლე დედოფლის ვიქტორიისა ალფრედი იყო პრინცი საქსენ-კობურგ-გოთისავე . პრინცი ფერდინანდი ამასთანავე ჰნათესავობს ავსტრიის საიმპერატორო გვარეულობას და ბრაზილიის იმპერატორის სახლობასაც. და ფერდინანდისა კლოტილდა ჰყავს ავსტრიის ერცჰერცოგს იოსეფსა და ძმას ფერდინანდისას ავგუსტსა ჰყავს ქალი-შვილი ბრაზილიის იმპერატორისა დონ პედრო II-ისა. ამ სახით ახლად ავსტრიის მიერ დასახელებული კანდიდატი პრინცი ფერდინანდი ნათესავი და მახლობელია ავსტრიის იმპერატორის სახლობისა, ინგლისის დედოფლისა, ბრაზილიის იმპერატორისა და ორლეანის ჰერცოგისა, რომელიც დღეს საფრანგეთის საკოროლო ტახტის მაძიებელია. ამბობენ, პრინცს ფერდინანდს დიდი სიმდიდრე აქვსო.

პრინც ფერდინანდი უნახავს ბოლგარიის დეპუტაციას და უთხოვნია მიიღოს ბოლგარიის მთავრობა. პრინცი ძალიან წინ დახედვით და თავ-დაჭერით მოჰქცევია დეპუტაციას და თუმცა უარი არ უთქვამს, მაგრამ არც იმედი მიუცია. ამბობენ, ვიდრე ყველა დიდი სახელმწიფო თანახმა არ იქმნება, პრინცი ფერდინანდი ხელს არ მოჰკიდებს ბოლგარიის მთავრის გვირგვინსა და ეს აზრი უკვე გამოუთქვამს კიდეც. დეპეშებიდამ უკვე ვიცით, რომ რუსეთი არა გზით არ შეიწყნარებს პრინც ფერდინანდის კანდიდატობას.

ახალი ამბავი

⁂ ამ თვის 20-ს ტფილისის კლუბში იქნება ქართული კონცერტი წერა-კითხვის საზოგადოების სასარგებლოდ. კონცერტში მონაწილეობას მიიღებს ქ-ნი ზარუდნაია და ქართულ ხმებს იმღერებსო.

⁂ ვალად ვრაცხთ გამოვაცხადოთ, რომ მეტეხის ციხის პატიმარნი გულ-მოდგინედ სთხოვენ საზოგადოებას, შემოსწირონ მეტეხის ბიბ-

ფელეტონი

ეთნოგრაფიული წერილები

წერილი მეხუთე

როცა ხევსურეთში მოგზაურობთ და აკვირდებით იქაურს შინაურ ცხოვრებას, ერთი ჩვეულება უნებლიედ იზიდავს თქვენს ყურადღებას. ეს ჩვეულება ბოსლობაა და იმით არის შესანიშნავი, რომ იგი განსაზღვრავს ქალის მდგომარეობას, გვიჩვენებს მის დამცირებას. ბოსელი (ეგრეთვე სამრელო) პატარა სადგურია, სადაც მხოლოდ ქალი სცხოვრებს მშობიარობისა და დედათ-რიგის დროს. ბოსელი ცოტა მოშორებით არის სახლზედ და რადგანაც „ნაბოსლარი“, ხევსურის აზრით, უწმინდურია, თვით ბოსელიც უწმინდურ სადგურად ითვლება,— როცა ბოსელში ქალია, მას უბრალო კაცი ახლოს ვერ მიეკარება და „ხატის კაცი“ ხომ შორიდამაც ერიდება. ხშირად ბოსელს ყორე აქვს შემოვლებული, ალბად იმიტომ, რომ ბოსელს ადვილად არავინ მიეკაროს. საბრალო და საცოდავი სანახავია ნაბოსლარი: ღამე გამოკეტილა მარტოდ-მარტო ბოსელში, დღე კიდევ კარებთან, ან ბოსლის ბანზედ ჰყუნტია და აქეთ-იქით ნაღვლიანად გაიყურება. მას ყველა თვალს არიდებს, ყველა მძულვარებით ექცევა; ასე გასინჯეთ, ნაბოსლარის ხმის გაცემაც კი ცოდვაა,—მშობიარე ნაბოსლარს, ორის კვირის განმავლობაში, არც კაცი და არც ქალი ხმას არ გასცემს, დეკანოზი ხომ ერთ თვევსაც არ დაელაპარაკება! ეს ხმის გაუცემლობა კიდევ არაფერი, უბედურება იმაშია, რომ მშობიარეს, რაც უნდა გაჭირვება მიადგეს, ქალიც ვერ მიეკარება და თუ რომელიმე ქალი სასმელ-საჭმელს უზიდავს, ის ბოსელში ხომ ვერ შევა,—ბანის სანათურიდამ ჩაუსხამს რძეს, წყალს, ზიზღით მიაწოდებს ქერის პურს, ბალახეულობას, რომელსაც ხევსურეთში პურის მაგივრად ჰხმარობენ (ჭიმა, ჰეკარა, ლაგი, წერთხელა, დიყი, შიბუ). საკუთარს ბალღსაც აკრძალული აქვს ნაბოსლარ დედასთან მისვლა; საბრალო არსებას მხოლოდ ძუძუ-მწოვარა ჰყავს ბოსელში და იმაზედ იქარვებს დარდსა და ნაღველსა... ღამე ნაბოსლარის თავის დანებება, რასაკვირველია, საშიშარია. ხევსურს ჰწამს, რომ ეშმაკი ემტერება ახლად შობილს და ამიტომ ბოსლის ბანზედ, ჩახმახ შემოყენებული თოფი ხელში უჭირავს,— ეშმაკი ბალღს ველარ მოჰკლავსო... არა თუ მარტო ნაბოსლარი, ასე გასინჯეთ, ყოველივე მისი ტალავარი, საწოლი, ჭურჭელი, ერთის სიტყვით, ყველა იმისი ნივთი უწმინდურია. ამისათვის, როცა, ბოსლობის შემდეგ, ქალი ბრუნდება ოჯახში, იგი უნდა გაიბანოს, „მონა-ტალავარი“ (ტანისამოსი, რომელიც ბოსლობას აცვია) უნდა გარეცხოს, სამი-ოთხი დღე გაფენილი ჰქონდეს კარზედ და მერე ჩაიცვას; უამისოდ „მონა-ტალავრის“ ჩაცმა არ შეიძლება.

საკვირველი კიდევ ისაა, რომ არა თუ მარტო ნაბოსლარი, იმისი ოჯახობაც კი უწმინდურად ითვლება. მშობიარობის დროს, ერთის თვის განმავლობაში, ჯალაბობა ხატში ვერ მივა,— თვითეული წევრი ოჯახისა უწმინდურია და ხატი არ იყაბულებს დანახვას. ამ უწმინდურობის მოშორება, თუ გნებავთ, ოჯახის განათვლა მიუცილებელს საჭიროებას შეადგენს და ეს კიდევ „ხატის კაცის“ საქმეა. როცა შვილის შობის შემდეგ ერთი ან ორი კვირა გაივლის, ხუცს საკლავი უნდა დააკვლევინონ, მაგრამ სახლში კი არა, სახლის ბანზედ და სისხლით სახლი უნდა ასხურებინონ („სანათლო“). ამითი როდი თავდება ოჯახის განწმენდა. ოჯახში დაბრუნების დროს, ქალის „სათავნოდამ“ (ქალის კერძო საკუთრება), ან არადა, ჯალაბობის საქონლიდამ მეორედ უნდა დაიკლას რამე საკლავი—ცხვარი, ბატკანი, ხბო (თხა არ შეიძლება, რადგანაც იგი „ეშმაკია“), სისხლი ჯამში უნდა მოაგროვონ და იმითი ასხურონ ბოძები და კედლები, —მხოლოდ მაშინ გაინათლება საბოლოოდ სახლი, მხოლოდ მაშინ შეუძლიან დიაცს ოჯახში დაბრუნდეს და მისი სახლობა შეურიგდეს ხატს. სანამდე დედა არ გაიწმინდება, ბალღიც ბილწია,—მას დედის გარდა ვერავინ მოუვლის, ხელში არავინ აიყვანს. და არა თუ ბალღი, იმისი აკვანი, ხოჭიჭიც კი უწმინდურად მიაჩნიათ და ოჯახში დაბრუნების დროს უნდა გარეცხონ, გაასუფთაონ.

შესანიშნავია კიდევ ის ჩვეულება, რომ თუმცა ბოსელი უწმინდურ ადგილად ითვლება, მაგრამ თვით მშობიარობა უფრო დიდი უწმინდურებაა, ასე, რომ დიაცს ნება არა აქვს ბოსელში მოილოგინოს,—ქალმა შვილი სოფლის გარედ უნდა შობოს ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ გაკეთებულს ფაღრიალა ფანჩატურში, ან არა და სანეხვეზედ, სადაც სამი დღე-და-ღამე უნდა დაჰყოს; მერე კი შეუძლიან ბოსელში შევიდეს. სამი დღე-და-ღამე ზამთარში სანეხვეზედ

ლიოთეკას, რომელიც დაარსებულია სასარგებლოდ ტუსაღებისა, პატარა იაფის ფასის ანბანები რუსულს, ქართულს და სომხურს ენებზედ.

⁂ თ. ასლან წულუკიძეს შეუწირავს ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისათვის „ქმნულების ცნობა“ (კოსმოგრაფია), თარგმნილი სპარსულით ვახტანგ VI-საგან და დაბეჭდილი ტფილისს. წიგნს შემდეგი მინაწერი აქვს:

„გაიმართა ხელითა მროველ ეპისკოპოზის ნიკოლაოზ ორბელის მისათა ქალაქსა ტფილისისასა, ქრისტეს აქეთ 1721 წ., 14 აგვისტოსა“. წინასიტყვაობა აქვს შემდეგი: „ზე ადიდნეს ღმერთმან მეფე ვახტანგ. იტყვის წინასწარმეტყველი დავით: მე ვთქვი განკვირვებასა ჩემსა, რამეთუ ყოველი კაცი ცრუ არს და თვით უფალი ბრძანებს არავინ არს სახიერ, გარნა მხოლოდ ღმერთი. არა თუ ამისთვის არს ბრძანება ესე, ვითარმედ ყოველი კაცი ცრუ არს,—ნუ იყოფინ,— არამედ ვერვის ძალუძს თვინიერ მის მიერ მოვლინებულთა სწორებით ცნობათ საქმეთა უფლისათა, და არავინა არს ჭეშმარიტებით მცნობელ ამისა, რომელ არა იპოვა ამას შინა სიცრუე, არამედ რავდენთა მიეცა სიბრძნე და გულის ხმის ყოფა და მათ წყალობა იგი პატიოსანი უპატიოთა ზედა საქმეთა არ იშრომეს და რაოდენთა ძალ უძლეს, მისვე ქმნულთა მიწდომად დაშურეს და განმარტეს ფილოსოფოსთა მრავალი მეცნიერებანი და მათნი სწავლანი და ესეცა გარსკვლავთ რაცხვა ერთი მათგანივე არს. და საქართველო მრავალ გზის მტერთგან მოოხრებულ იყო და არღარა დაშთომილ იყო ქართულ ენასა ზედა სწავლა ესე ფილასოფოთა და სხვათა ენისა კაცნი ქართველთა ეგიცნოდეს. და აწ მე მეფემან მეფეთამან ვახტანგ ეს სპარსული აიათი, რომელ არს ქმნულების ცოდნის წიგნი (ზიჯი თალა მასალა) და სხვა ოქმების წიგნები ვთარგმნე მირზა აბდურიზა თავრიზელის წიგნის კითხვითა და თანაშეწევნითა და სტროლაბიც ქართულად გამოვიღე, ნუ უკვე ისწავონ და წადიერ იყვნენ ფილოსოფოსობისად და ინებონ და შეასრულონ ქართულისა ენითა ფილოსოფოსობა და გამოიღონ და ჩემთვისაც შენდობის მოქენე გარ, რამეთუ საქმეთაგან საცნაურ არს, ვითარმედ მრავალნი ჭირნი მინახვან ამა წიგნთა ზედა და არცა თუ მეფობისა მსახურება დამიკლდეს.

წიგნი თავდება ამ ლექსით:

„მენავე ღელვა გვემული
განერის ზღვისა წყრომასა,
კალატოზნი და ხურონი,
რა მორჩენ თვისსა შრომასა,
მათ სიხარულსა ვინ დასთვლის
ანუ შვებისა ზომასა,
და მესტამბე მათგან უალრეს
იქს სიხარულის ნდომასა.“

⁂ უკანასკნელმა სამეურნეო კრიზისმა მიიქცია მთავრობის ყურადღება და განსაკუთრებით ბ-ნის სახელმწიფო ქონებათა მინისტრისა, რომლის მეცადინეობითაც გადადებული იქმნა 12,000 მან. წელიწადში საუკეთესო სამეურნეო ცოდნის გასავრცელებლად. ამ ფულითგან ორის წლის განმავლობაში აძლევდნენ შემწეობას ყველა კერძო საზოგადოებათა, ერობათა და აგრეთვე იმათაც, ვისაც სამეურნეო სკოლები ჰქონდათ გამართული. რადგანაც ამ ორის წლის გამოცდილებამ დაამტკიცა დიდი სარგებლობა ამ ნაირის მოქმედებისა, ბ-ნს მინისტრს უთხოვნია ფულის მომატება ამ საგნისათვის; ამასთანავე სამინისტრო სთხოვს 70,000 მანათს მასწავლებლების მოსამზადებლად ამ სკოლებისათვის და 70,000 მან. კიდევ ვენახების მდგომარეობის გამოსაკვლევად ყირიმსა და სხვა ადგილებში.

⁂ მკითხველებს უკვე ეხსომებათ, რომ წარსულ ენკენისთვეში ახალ ქალაქის საპყრობილიდამ ექვსი პატიმარი გაიქცა. ეხლა, როგორც გვატყობინებენ, ტფილისის მაზრიდამ, ერთი იმათგანი, რომელიც მოთავე იყო, ირზა-ყული-ბაირამ-ოღლი ამ დღეებში ყარაიის ბოქაულს ბ—ნს ნაცვალოვს დაუჭერია და მაზრის უფროსისათვის წარუდგენია. ეს ირზა-ყული იმალებოდა თურმე სოფელ თაქლაში.

⁂ ჩვენ გვწერენ სიღნაღის მაზრიდამ: სოფ. ზემო-მაჩხაანში შემთხვევით ვნახეთ ერთი ოჯახი, რომელიც მოგვაგონებს ძველ ქართულ ოჯახს. ერთ ოჯახს შეადგენს 56 სული კაცი და ქალი. სახლის უფროსი ილია გოგილაშვილი უკვე 60 წლის მოხუცი ისევ ცოცხალია. ოჯახი მეტისმეტად კარგად და ტკბილად სცხოვრობს და კარგი შეძლებაცა აქვსო.

⁂ ქალაქ სიღნაღიდამ გვწერენ: 31-ს ნოემბერს სიღნაღში მაზრის უფროსის თაოსნობით იყო ბალი პატიმართა სასარგებლოდ. სამხედრო მუსიკა თუქურმიშიდამ მოიწვიეს. ხალხი კარგა ბლომად დაესწრო. ბილეთების შემოსავალს გარეითად კერძო შესაწირავიც ყოფილა. როგორც ისმის, ხარჯის გარედ ოც-და ათს თუმანზედ მეტი დარჩაო.

⁂ აქაურთ წარმომადგენელთ სახელმწიფო ქონებათა გამგეობისას აზრადა აქესთ ამ ცოტას ხანში შეადგინონ პროგრამა და მერმისს ზაფხულში ამ პროგრამის მიხედვით გამოიკვლიონ სტატისტიური და საეკონომიო მდგომარეობა ჩვენის ქვეყნისაო. როგორც ამბობს „ნოვოე ობოზრენიე“, ამ საქმის შესასრულებლად პეტერბურგიდამ რამდენიმე ჩინოვნიკი მოვაო.

⁂ იმავე გაზეთში ვკითხულობთ, რომ ამ მოკლე ხანში ბათუმში მოელიან 375 დახურულ და 175 ღია ვაგონსაო ჩვენის ამიერ კავკასიის რკინის გზისათვისაო. ეს ამბავი მით უფრო საყურადღებოა, რომ აქამომდე საქონლის გადასატანი ვაგონები, მართალია, ცოტა არ იყო, მაგრამ მაინც კიდევ არა ჰყოფნიდა ჩვენ ქვეყანას.

⁂ „Новое Вр.“-ს შეუტყვია, რომ რუსეთის ყოველ სადგილ-მამულო ბანკში იქნება დანიშნული მთავრობისაგან თითო დირექტორიო. ეს დირექტორები მიიღებენ მონაწილეობას აქციონერების საერთო კრებაზედ და კენჭში ხმაც ექმნებათო. თუ რაიმე უკანონობა შეამჩნია ამ დირექტორმა კრების განაჩენსა, უფლება აქვს შეაყენოს მისი აღსრულება იმ დრომდე, ვიდრე ამ საგანზედ ფინანსთა სამინისტროდამ რაიმე პასუხი მოვაო. მთავრობის დირექტორივე იქმნება თავს-მჯდომარე სარევიზიო კომისიისა. დირექტორებად დაინიშნებიან მხოლოდ ისინი, ვისაც სამინისტრო იცნობს. თუ დირექტორმა რაიმე უკანონობა ჩაიდინა, ბანკის გამგეობას ნება ექმნება საჩივარი შეიტანოს იმაზედ, სადაც ჯერ არსო.

⁂ პირველ პოლიციის განყოფილებაში ოლგის ქუჩაზედ უპოვნიათ ახლად დაბადებული ყმაწვილი ვაჟი და გაუგზავნიათ საბებიო ინსტიტუტში.

* * *

დამაკვირდი!

ბიწი და ბედნიერება ერთმანეთთან ვერ მოთავსდებიან. (ბუასტი)

**

ჩვენ ბარბაროზებად ვეჩვენებით ჩვენთა შორეულთა ნატამალთა. (შატობრიანი)

**

სხვა არა არის-რა ისე ძნელი სათქმელი კაცთათვის, როგორც მართალი. (ვოლტერი)

**

კაცი ის არის, ვინც არის
ზეგარდმო მადლით ცხებული.
(თ. გრ. ორბელიანი)

**

ეკრძალე ცუდად მეტყველსა,
უმგზავსოდ მოუბარესა.
(მეფე ვახტანგ VI)

**

გონიერსა მწვრთელი უყვარს,
უგუნურსა გულსა ჰგმირდეს.
(რუსთაველი)

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ვლადიკავკავი (სოფ. ხუმელაგა). სოფელს ხუმელაგას, ვლადიკავკავის მაზრის მინდვრის ოსებში, ბევრი სოფელი ვერა სჯობია. სოფ. ხუმელაგა გაშენებულია მშვენიერს დაცემულს ვაკეზედ. ხუმელაგაში უხვად მოდის ყოველის ფერი მიწის-ნაყოფი: პური, ქერი, სიმინდი, ლობიო, კართოფილი და სხვა, რაც კაცის ცხოვრებისათვის საჭიროა... ვაზის, კაკლის და ლელვის ხის მეტი სხვა ყველა ხილიც კარგად ხარობს ხუმელაგაში. ვაზის გაშენებაც შეიძლებოდა აქ და იხეირებდა კიდეცა, მაგრამ ზამთარი ხმელი და ცივი იცის და, თუ მიწაში არ დაიმარხა ვაზი, დასძრავს ხოლმე,— თვითონ ოსებსაც ჯერ ვერ შეუყვარებიათ ვაზი და ამიტომ დიდ ყურადღებას არ აქცევენ.

ხუმელაგას მარჯვენივ ჩამოუდის მდინარე თერგი. თერგსა და სოფელს შუა მინდორში გამოდის მშვენიერი წყაროები, ფშები, წითელ-წინწკლიანის კალმახით სავსე. მარცხნივ ჩამოუდის მდინარე კამბილეევკა, რომელმაც მშვენიერი მორწა და ჭანარი იცის. მდინარე კამბილეევკაზედ რამდენიმე წისქვილი ტრიალებს...

ხუმელაგს, შუა სოფელში სდგას მშვენიერ გეგმაზედ აშენებული სკოლა, რომელშიაც 60-დე ყმაწვილი სწავლობს. სკოლაში ორი მასწავლებელია და რუსულს და ოსურს ენაზედ ასწავლის ყმაწვილებს.

სოფ. ხუმელაგას აქვს მხოლოდ ერთი ნაკლი, რომელიც საჭიროა მოვიხსენიოთ აქა. ეს ნაკლი ეკკლესია გახლავთ: ხუმელაგელებს თუმცა აქვთ ეკკლესია, 1859 წელში აშენებული, და დღემდის წირვა-ლოცვა სრულდება ამ ეკკლესიაში, მაგრამ ამ ეკკლესიაში წირვა-ლოცვის აღსრულება ამ ჟამად ძალიან საშიშია, რადგანაც ეკკლესია ოთხ-კუთხივ გარღვეულია. ხუმელაგელებს დღემდის არავითარი ლაპარაკი არა ჰქონიათ ახალის ეკკლესიის თაობაზედ და დღეს კი მე ნამდვილად ვიცი, რომ ხუმელაგელებმა უკვე გადასწყვიტეს ახალის ეკკლესიის აშენება. გიორგობისთვეს 23-ს აქაურის მღვდლის თხოვნით იყო შეკრებილი მთელი სოფელი, მღვდელმა მ. ნ. ბ—ძემ ხალხს აუხსნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ეკკლესიას და როგორ აუცილებლად საჭიროა მართლმადიდებელ ქრისტიანეთათვის ეკკლესია.. ხალხმაც მოისმინა მღვდლის სიტყვა, ერთ-ხმად კმაყოფილება გამოუცხადა და, მცირეოდენის რჩევის შემდეგ, გადასწყვიტა... სულზედ მამრობით სქესს 50 კაპ. გამოერთოს წელს და აგრეთვე მომავალ წელსაც, და მასალის მომზადებაც თვითონ ხალხმა იკისროსო. გათავდა თუ არა ამაზედ ლაპარაკი, ხალხითგან გამოვიდა ერთი მოხუცი ბექე გუკაევი, მიუიდა მღვდელთან, მადლობა გამოუცხადა რჩევისათვის, ამოიღო 40 მანეთი და უთხრა: აი, მამაო, ეს ოთხი თუმანი, და გთხოვთ ორ ჩემ გარდაცვალებულის ვაჟების მოსახსენებლად ერთი ვერცხლის ჯვარი უყიდო ჩვენს ახალ ეკკლესიას და მერე მე ვიცი, რასაც შევეწევი კიდევაო. ბექე გუკაევის მაგალითმა დიდი ზედ-მოქმედება იქონია ხალხზე. მაშინვე გამოვიდა კიდევ ერთი ყმაწვილი კაცი, უმარა ბიზაროვი; და უთხრა მღვდელს: აჰა ეს ერთი თუმანი, იმის გარდა რაც სახლში წი-

---

წოლა!.. აბა, მკითხველო, დააკვირდი ამ ჩვეულებას...

ჩვენ ვსთქვით, რომ დედათ-რიგის დროსაც ქალი ბოსელში იმყოფება; მაშინ იგი მხოლოდ ერთი კვირა უნდა დარჩეს ამ უწმინდურს სადგურში, მაგრამ ქალი ისეთი უწმინდური როდია, „რიგობის“ დროს, როგორც ლოგინობაზედ. კიდეც ამიტომ რიგობის დროს ნაბოსლარს ელაპარაკებიან, ემუსაიფებიან, ხმას არა სცემენ მხოლოდ დეკანოზები და სხვა ხატის კაცები. საზოგადოდ რომ ითქვას, ხატი და ხატის კაცები მეტად სასტიკად სჯიან და ზრახვენ ნაბოსლარს. იგი ხატისა და მის მსახურთა თვალში შეუწყნარებელია, განხორციელებული ბიწიერებაა. მაგ., რიგობის დროს ნაბოსლარს ნება აქვს საოჯახო საქმეზედ გავიდეს, მუშაობს კიდეც, თუმცა სხვების ახლო კი არა; მაგრამ როცა ხატის სამუშაო საქმეა, ხატის მამულში ვერ გაივლის, სახატო საქმეს ვერ გააკეთებს. ხატობასაც კი მდედროვნები ხატს ახლოს ვერ მიეკარებიან და შორითგან ევედრებიან მრისხანე «ბატონს». დიდ ხატობას ჩვეულებრივი ნადიმობაც კი აღკრძალული აქვთ,—მხოლოდ ლუდს შესმენ, მაგრამ პურის საჭმელად ხატში ვერ დარჩებიან, სახლებში უნდა წავიდნენ. ეს ჩვეულება იმით უფრო შესანიშნავია, რომ ხატობაა ერთად ერთი დრო, როდესაც ხევსური დიდის ამბით ნადიმობს...

მარტო ამითი როდი თავდება ქალის დამცირება, მარტო ბოსლობის და მშობიარობის დროს როდია დიაცი უწმინდური. ხევსურის აზრით, თვით კავშირი ქმრისა ცოლთან სამარცხვინო საქმეა, უწმინდურობაა. მაგ., «ნაჯალაბარი» კაცი (ქალთან წოლილი), თუ დაწოლის შემდეგ სამი დღე არ გასულა, „საქვაბეში“ (სალუდე) რომ შევიდეს, (საქვაბე ხატის შენობაა და მაშასადამე წმინდა სადგურია) „კეზს“ ვერ გასცილდება, უწმინდურიაო... („კეზი“ შუათანა თავ-ხვა ჯერში). სათაკილოდ მიაჩნია ხევსურს, თუ სამსა და ოთხს წელზე ადრე, შემდეგ ცოლის შერთვისა, შვილი მიეცა,— სირცხვილი არ არის, რად „გასწირეო“, უკიქინებენ მეგობრები... თვით სქესებრივს კავშირში აშკარად იხატება ხევსურის შეხედულობა ცოლზედ. იგი ცოლს როდი ეალერსება, როდი ულევიძებს სიყვარულს, როცა ცოლთან ჰსურს დაწოლა, არა,— ცოლს ეპარება, ებრძოლება და ისე იმორჩილებს გრძნობის დასაკმაყოფილებლად... ერთად წოლა ცოლ-ქმრობაში ხომ იშვიათი საქმეა, დიაღ, ხევსურის დიაცი ტრფობის საგანი არც არის და არცა ყოფილა; „ეშმაკებში შეჩრილმა“ (ეს სიტყვა ხევსურ-ქალს პირზედ აკერია) იცის მხოლოდ შრომა და მორჩილება, მის სიცოცხლეში გრძნობას და აღტაცებას თითქმის სრულიად ადგილი არა აქვს.

ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ბოლოს დროს ბოსლობა პირვანდელს თავის ხასიათს ჰკარგავსო,—ხშირად ქალი განგებ ამბობს, ბოსლობის დრო მამეიდაო და ბოსელში მირბის, სადაც ლამე სატრფოს ჩაჰკვრია გულშიო. რაც უნდა იყოს, მაინც ხევსურელი მანდილოსანი თავის პატიოსნებით და ზნეობრივის სიწმინდით მეტად მაღლა სდგას,—აქ როსკიპობა იშვიათი მოვლენაა. აქ უნამუსობას ქალი ვერ აიტანს და ხშირად გაუპატიურებული ქალი თავს ჩამოირჩობს ხოლმე... ეხლაც ასეთი დიდი პატივი აქვს აქ ძველებურს მანდილს!..

ბოსლობა, რასაკვირველია, ცუდი, მავნებელი ჩვეულებაა და იგი ამცირებს ქალის ღირსებას. აქ საყურადღებო ისაა, რომ ამ ჩვეულებას საფუძვლად რელიგიური აზრი აქვს,— ხევსურს ნაბოსლარი ქალი თუ უწმინდურ არსებად მიაჩნია, მარტო იმიტომ, რომ ასე უბრძანებს «ხატი»; სხვა საბუთი ვერ წარმოუდგენია: თუ ბოსლობა მოვსპეთ, ხატი ავად გაგვხდისო, დაგვაბრმავებსო და სხვა ამისთანები—აი რისა ეშინიან ხევსურს. „ხატის კაცები“ ყოველ ნაბიჯზედ ღრმად უნერგვენ ხალხს გულში ამ შიშს და ამისათვის ბოსელი ისეთი მაგარი ციხეა, რომელსაც თვით ძლიერი იერიშიც ვერ შეარყევს. და ეს რომ ასეა, მტკიცდება, სხვათა შორის, იმითაც, რომ პირ-იქითელ ხევსურებს, თუმცა მოყვრული დამოკიდებულება აქვთ ქისტებთან (მაგ., ს. მუცოში, სადაც ქისტები და ხევსურები ერთად სცხოვრობენ), მაგრამ ბოსლობას თავს არ ანებებენ... ქისტებმა ხომ ბოსლობა სრულებით არ იციან. რასაკვირველია, ქალის დამცირების მიზეზი მარტო რელიგიური შეხედულება არ არის. აქ საზოგადო მიზეზიც არის და ეს მიზეზი თითქმის ყველა ხალხის ცხოვრებაში ერთ-გვარად მოქმედობს, მაგრამ ზოგს ისეთს ჩვეულებას ვპოულობთ ხევსურეთში, რომლის ახსნა საზოგადო მიზეზით, ვგონებთ, არ შეიძლება. ასეთია ის ჩვეულება, რომ ქალი ცხენზედ ვერ შესჯდება. როცა ხევსურს გზაში თან მისდევს მდედროვანი, სულ ერთია, ახალგაზდა ცოლია ეს უკანასკნელი, თუ ღრმად მოხუცებული დედა, მამროვანი არხეინად ცხენზედ ზის და მდედროვანი კი ქვეითი მისდევს,— საბრალოს, წელში დახრილს და დატვირთულს ცხენის კუდზედ უკიდია ხელი და ისე მიეშურება აღმართს გზაზედ. რადა? — ხევსურის აზრით, სირცხვილია ქალი ცხენზე იჯდეს და

ეროვნული

ლი შემხვდება ახალის ეკკლესიისთვისაო.

შემდეგ ამოარჩიეს ორი საიმედო კაცი და მღვდელი, რომელთაც უნდა მოაგროვონ ფული. როდესაც ფული სულ მოგროვდება, უნდა წარდგენილი იქმნას ვლადიკავკავის სახელმწიფო ბანკში დროებამდინ სასარგებლოდ. ამ საქმის გამო განაჩენიც შეადგინეს...

ღმერთმა ჰქმნას, ბევრი გამოჩნდეს იმისთანა კაცი ამ ახალის ეკკლესიის სასარგებლოთ, როგორიც ბექე გუკაევია.. დასასრულს, ვისურვებთ რომ, როგორც სხვაგან აძლევს შემწეობას, ისე მისცეს შემწეობა სოფ. ხუმელაგასაც ახალის ეკკლესიის ასაშენებლად კავკასიის მართლ-მადიდებელ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ...

* *

სოფ. ხუმელაგაში ბოქაულმა და იმისმა თანაშემწემ სოფლის აღწერა უკვე გაათავეს. ხუმელაგაში სულ მემკვიდრე მცხოვრებელი აღმოჩნდა 289 კომლი და დროებით მცხოვრებელი 34 კომლი. ამათში მამრობითის სქესისა აღმოჩნდა 1249 სული, მდედრ. 1069. საქონელი აღმოჩნდა: მუშა ხარი — 531, მუშა კამეჩი — 2, ძროხა — 772, ხბო — 641, ფურკამეჩი — 22, ზაქი — 9, იაბო ცხენი—345, ულაყი—8, ფაშატი—167, კვიცი—37, ცხვარი—6034, თხა—815, ფუტკარი—1565 ძირი. ქარხნები: კრამიტისა,—1, აგურისა—3, წისქვილები—14. ამ წისქვილებში ორი წისქვილი ერთის გლეხისა არის; ორივე წისქვილი დღე-ღამეში 440 „მერკას“ ჰფქვავს.

ქართველი ოსეთში

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

წარსულს ზამთარში დიდი ლაპარაკი ასტეხა ბ-ნის ფელდმანის გულთ-მისნობამ. ფელდმანის გარდა ბევრი კიდევ სხვა გულთ-მისნობდა. გულთ-მისნობასა და გულში ჩანიშნულის გაგებას მოჰყვა ჰიპნოტობა, ანუ დაძინება ადამიანისა ჰიპნოტიკოსის-მიერ. ჰიპნოტიკოსი ძილის დროს სცდილობდა შთაეგონებინა მძინარესათვის სხვა-და-სხვა ფიქრი, აზრი და მოქმედება და მძინარეც ამ შთაგონებულის თანხმად ჰფიქრობდა, ჰაზრობდა და მოქმედებდა. ყველას გაეგონება, რომ ამ დროს მძინარე ადამიანი ყურ-მოჭრილი მონაა ჰიპნოტიკოსისა, რასაც უბრძანებს ეს უკანასკნელი, მძინარე ან დაუყოვნებლივ ასრულებს, ან რამდენისამე ხნის შემდეგ.

> ჰიპნოტობამ დიდად გააკვირვა მეცნიერნი, რომელნიც შეჩვეულნი არიან ყოველ-გვარ მოულოდნელ და მეტად საოცარს მოვლენას მეცნიერებისასაო, ამბობს გაზ. „Рус. Вѣд.“-ი. მაგრამ აი ჯერ კიდევ კარგად არ შესთვისებოდნენ ამ გარემოებას, ჯერ კიდევ არ დამშვიდებულიყვნენ ამ გაოცებისაგან და ახლა კიდევ სხვა ახალმა საკვირველებამ გააოცა მსწავლულნი ფიზიოლოგნი და ფსიხოლოგნიო.

ეს ახალი საკვირველება და სასწაულთ-მოქმედება ის არის, რომ ერთგვარ პირობათა შორის კაცს შეუძლიან აზრითა და ფიქრით იმოქმედოს სხვა კაცსა და ადამიანზე, რომ ჩვენი აზრი და ფიქრი, ჩვენი გრძნობა, როგორც აღმოაჩინა სულ ახლა ხანს მეცნიერებამ, თავით თვისით ისეთივე განსაკუთრებული ძალაა, როგორც სინათლე, სითბო, ელექტრონი და მებრვე სხვა და შეიძლება იმოქმედოს და ამ მოქმედებით გამოიწვიოს ასეთი თუ ისეთი საქციელი სხვა ადამიანისა, თუნდა მაშინაც, როცა იგი დიდს მანძილზეა ჩვენგან. იმოქმედოს ისე, რომ ამისათვის არც სიტყვა და ლაპარაკი იყოს საჭირო, არც სხვა გარეგანი-რამ მოქმედება.

> ივანეს შეუძლიან უბრძანოს რამე გონებით, ფიქრით პეტრესა, თუნდა ეს პეტრე იმ დროს ქალაქის განაპირა უბანშიაც სცხოვრობდეს,—და პეტრე დაუყოვნებლივ ემორჩილება ბრძანებას და ამასთანავე იცის კიდეც, ვინც არის ამ ბრძანების მიმცემი... შეიძლება ივანე სჭამდეს, ან სვამდეს თავის ოთახში და სხვაგან მყოფი პეტრე კი ამ დროს ტუჩებს ისე აცმაცუნებდეს, თითქო ისა სჭამს და ისა სვამსო. შეიძლება ივანემ ხელი დაიწვას და შორს მყოფმა პეტრემ კი ყვირილი მორთოს ტკივილისაგან და ცივი ტილოები იდოს ვითომ და დამწვარს ხელზედ...

ასეთია ეს ახალი სასწაულთა მოქმედება მეცნიერებისა. კაცს გაუძნელდება დაიჯეროს ყოველივე ესა, მაგრამ მოდით და ნუ დაიჯერებთ, როცა ასჯერ და ათასჯერ გამოუცდიათ და დაუმტკიცებიათ ისეთს მეცნიერთ, როგორიც არის შარკო, რიბო, პოლ-ჟანე და სხვანი მრავალნი,—როცა ყოველივე ეს გამოუცდიათ ისეთ მოწმეთა თანადასწრებით, როგორნიც არიან აკადემიკოსნი შარლი, რიშე და სხვანი.

> მოუთხრობთ მკითხველებს ერთს მაგალითს იმისას,—თუ როგორ უმოქმედნია პიერ ჟანეს ქალაქ გავრს ერთს ქალს ბ-ზე ამ წლის დამდეგს. ჟანემ ბ-ნი დასტოვა სახლში და თავად ერთის მეგობრის სახლში წავიდა, ასე 500 ადლის მანძილზე. აქ, სწორედ 5 საათზე, ჟანემ დიჟინებით დაიწყო ფიქრი ბ-ნის დაძინებაზე. ამ ფიქრში გაატარა ასე 8 წუთი. შემდეგ საჩქაროდ გამოსწია სახლში და ჰნახა, რომ ბ-ნი ღრმა ძილს მისცემოდა. აქ შეიტყო, რომ ბ-ნმა სულ რამდენისამე წუთის წინად დაიძინაო. რაკი ჟანე მოვიდა ბ-ნი ღრმა ძილისაგან გამოერკვა და უფრო ფხიზელს ძილს მიეცა და დაელაპარაკა კიდეც ჟანეს და უთხრა: ვიცი, რომ 5 საათზე შენ დამაძინეო.

აი ერთი მაგალითი კიდევ, რომელიც იმავე გაზეთშია მოთხრობილი.

> ჟიბერის სახლში შეიკრიბნენ პროფესორები, ექიმები და სხვა მეცნიერნი. ჟანე დაიწყობს აქ ფიქრს ბ-ნზე და თავის გულში ასე უთვლის: გთხოვ ამ წამსვე აქ მოხვიდეო. ბ-ნი მაშინვე ჰიპნოტიურს ძილს მიეცა, გამოვიდა სახლიდამ და გასწია ექიმის ჟიბერის სახლისკენ, მაგრამ რაკი დაინახა, რომ იქ ბევრი უცნობი ხალხი შეკრებილიყო, უკანვე გამოიქცა თავის სახლში...

გაზეთში ბევრი კიდევ უფრო გასაოცარი ამბებია მოთხრობილი, მაგრამ უადგილობის გამო ჩვენ მეტს ვეღარ მოვიყვანთ. რაც მოვიხსენეთ, ისიც ცხადად ამტკიცებს, რა საკვირველი და უცნაური მოვლენა აღმოუჩენია ეხლანდელს ყოვლად-ძლიერს და ყოვლად-შემძლებელს მეცნიერებას.

⁂

გაზ. „Стрекоза“-ში დაბეჭდილია პატარა საოხუნჯო შენიშვნა ევროპის დღევანდელს მდგომარეობაზე. შენიშვნას სახელად „ევროპის სასტუმრო“ ეწოდება.

ამ მე-XIX საუკუნის მიწურილებში ევროპა ჰგავს მდიდრის კაცის სახლსაო, რომელშიაც ევროპის ქვეყნები ოთახების მაგიერობას ეწევიან ამ გვარადაო:

> ისპანია, ანუ პირინეის ნახევარი კუნძული სადარბაზოდ გამართული შესავალი კარია და ტალანი ევროპისა. აქ ხშირ-ხშირად აწკარუნებენ ზარს: ზარების წკარა-წკური იმას მოასწავებს, რომ ხშირ-ხშირად მიდიან და მოდიან სამინისტრონიო.
>
> საფრანგეთი— სასტუმროა.
>
> გერმანია—კაბინეთი და წიგნთსაცავია. აქვე სდგას, რასაკვირველია, სამუშაო სტოლი ევროპის ბატონისაო.
>
> შვეიცარია — ყმაწვილების მომვლელის, ანუ მასწავლებელის ქალის ოთახია.
>
> იტალია — აივანია ევროპისათვის (აქედამ მშვენიერი გადასახედია ზღვაზე).
>
> ინგლისი — სახლის ახლო რომ პატარა დუქანი იქნება გამართული, სწორედ ის არის.
>
> შვეცია და ნორვეგია — სასადილო ოთახია. ვგონებთ, რომ მარტო აქ არ იხოცება ხალხი შიმშილით და ყველას ადგილი ეძლევა სუფრაზედ.
>
> ბალკანიის ნახევარ-კუნძული—ყმაწვილების ოთახია. ღმერთო, ყურთა-სმენა არ არის იმათგან, ისეთი ჟივილ-კივილი გააქვთ!
>
> ავსტრი-ვენგრია — პაპიროზის მოსაწევი ოთახია, ბილიარდის სათამაშო და სალაყბო.

უცხოეთი

ბოლგარია. გაზ. „Новое Время“-ს კორრესპონდენტისათვის უთქვამსთ ვენაში ბოლგარიის დეპუტაციის წევრებს გრეკოვს და კალჩევს: ჩვენ მზადა ვართ, რომელიც გნებავთ რუსეთის კანდიდატი ამოვირჩიოთ მთავრად, თუ გინდა, მაგალითებრ, ერთ-ერთი პრინცი ოლდენბურგისა, ან ლეიხტენბერგისა, ხოლო სამეგრელოს თავად ნიკოლოზს კი ვერ ამოვირჩევთ, რადგან ნიკოლოზს ბოლგარიაში არავინ იცნობსო. რაც შეეხება კობურგ-გოტის კანდიდატობას, სულ ორი დღეა რაც ეს ამბავი ვიცით და თუ რუსეთი ნებას დაგვრთავს, დიდის სიამოვნებით ამოვირჩევთო.

— სოფიიდგან დეპეშით აუწყებენ გაზ. „Temps“: დიდმა ვეზირმა შეატყობინა გადბან-ეფენდის, რომ თუმცა ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა დიდს უარზედა სდგას და წინააღმდეგია სამეგრელოს თავად ნიკოლოზის კანდიდატობასა, მაინც ოსმალეთი [illegible] ღონეს ისმარებს, რომ თავადი ნიკოლოზი ამოირჩიონ მთავრადაო.

— სოფიელი კორრესპონდენტი სწერს გაზ. „Standard“-ს: გადბან-ეფენდიმ გამოაცხადა: ისეა მოთმინებითგან გამოსული ბოლგარიის საქმეთა გამო ოსმალეთი, რომ ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს რუსეთთან და უნდა, რომ ბოლგარიაში ოსმალეთის ჯარი ჩააყენოსო. ოსმალეთის ჯარს წინ რუსეთის აფიცრები გაუძღვებიან ბოლგარიის დაჭერის დროსაო.

— ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის ახალი კანდიდატი გამოჩნდაო, ამბობს გაზ. „Новости“. ეს ახალი კანდიდატი პრინცი კობურგია, ავსტრიის იმპერატორის ნათესავიო. დღევანდელი ნემეცური გაზეთები გვარწმუნებენ, რომ სამეგრელოს თავად ნიკოლოზმა უარი სთქვა ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატობაზეო. ვგონებთ, რუსეთი წინააღმდეგობას არ გაუწევს კობურგის კანდიდატობას, და ამ გვარად იმედია, რომ ბოლგარიაში ჩქარა მშვიდობიანობა და წესიერება ჩამოვარდებაო.

— ვენის გაზ. „Correspondenz Bureau“-ს დეპეშით აუწყებენ სოფიიდგან: „რუსეთის სადიპლომატიო აგენტმა გერმანიაში, ბარონ ტილმანმა, მოსთხოვა ბოლგარიის საერო ბანკს, რომ ის 700,000 ფრანკი, რომელიც რუსეთის სადიპლომატიო სააგენტოს მიერ არის შემოტანილი, ბერლინის ბანკში გაჰგზავნეთ რუსეთის სახელზედაო. საერო ბანკმა ბოლგარიისამ უპასუხა, რომ თქვენი თხოვნა სამს დღეში ასრულებული იქმნებაო.

— ვენის გაზეთების სიტყვით, ბოლგარიის დეპუტაციას ლაპარაკი ჰქონია პრინც კობურგ-გოტისთან. პრინცს უთქვამს, რომ თანახმა ვარ ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატობა ვიკისრო, თუ ავსტრია მოწადინებულია ამასაო. გრაფ კალნოკს გამოუცხადებია, რომ თუ პრინც კობურგ-გოტის კანდიდატობაზედ დიდნი სახელმწიფონი წინააღმდეგობას არ გამოაცხადებენ, ავსტრიის იმპერატორიც თანახმა გახდებაო.

საფრანგეთი. „Journal Officiel“-ში დაბეჭდილია რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტი ახალის კაბინეთის შედგენის გამო. ამ დეკრეტისამებრ სარწმუ-

---

და კაცი ფეხით მისდევდეს,—კაცს ეს არ შეჰფერისო, კაცისათვის სირცხვილია დიაცს ემსახუროსო... დიაღ, ხევსურს თავისებურად სწამს ვაჟ-კაცის დიდება და პატივი, მამროვანის თავისუფლება. იგი მეტად ამპარტავნებს, რომ მის სამშობლოში «ბატონი ვერ იხეირებს» და ეხლაც სიამაყით მღერის:

ხევსურეთშია, ბატონო,
ვერ იზამ ერისთობასა,
გაგიწყრილდების კისერი,
ვერ შესძლებ ქვეითობასა.

მაგრამ საქმე იმაშია, რომ თავისუფლება სულ თითონ დაუნარჩუნებია და მდედროვანისათვის კი მონობა და შრომა ურგუნებია წილად...

მართლაც და, აქ ქალი შრომის მონაა, ეკონომიური ძალაა და სხვა არაფერი. ხევსურის აზრით, ცოლს ყოველ დროს გააგდებს ქმარი, თუ დიაცი კარგად ვერ მუშაობს, კარგად ვერ ირჯება. აგდებენ კიდეც, თუმცა ჯვარ-დაწერილიც იყოს და არა მარტო „კერპულად“ შერთული. კიდევ კარგი, რომ ხევსურის ეკონომიური ცხოვრება მეტად მარტივია, მისი მოთხოვნილება მცირედია, თორემ ეს საბრალო არსება, მძიმედ «დატვირთული დიაცი» სწორედ რომ გაიჭყლიტებოდა ტვირთისაგან. კიდევ არაფერი, რომ ცოლ-ქმრობაში დიაცს რაიმე შვება და სიყვარული ამხნევებდეს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ხევსური სრულებით არ არის რომანტებურის ხასიათისა, იდეალური არა სწამს-რა, ესტეტიკისა არა ესმის-რა, თუმცა მისი დიაცი თავისი სილამაზით ჰხიბლავს უცხოელის გულს... გიკვირს, განცვიფრებული ხარ, როცა ხევსურის ქორწილს აკვირდები, მის აქაურ ცოლ-ქმართა ცხოვრებას უფიქრდები,—ქორწილის პირველსავე დღეს დიაცმა თავი უნდა გამოიჩინოს იმით, რომ თავის ხელით საქონლის ნეხვი გადაჰყაროს, ზურგით „ტვირთი“ მოიტანოს, სახლს კარგად მოუაროს... მხიარულება, სიამოვნება, რომელიც ასე შეჰფერის „მიჯნურობის დღეს“ მას აკრძალული აქვს, თამაშობაც კი არ შეუძლიან, რადგანაც, ხევსურის შეხედულობით, ქორწილში პატარძლის თამაში სირცხვილია, „შუშპრობა არ შეიძლების“...

როგორც ვსთქვით, ქალი შრომის მონაა და ეს მონობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ ყოველ-გვარი საქმე, საშინაო თუ საგარეო, მასა აქვს თავს შემოხვეული. ოჯახში ხომ ყველა საქმეს ქალი აკეთებს—უვლის ოჯახს, ტანსაცმელს, ტალავარს უმზადებს ყველას და სხ. ოჯახის გარედაც კაცს გვერდით უდგია და ყველაფერში ჰშველის—მკაში, ლეწვაში .. ტვირთის ზიდვა (შეშის ზურგით მოტანა, რომელიც ხევსურეთში სამძიმო საქმეა) უფრო ქალის ხელობაა, ვიდრე კაცისა. ერთის სიტყვით, თავის პირ-და-პირის საქმის გარდა, ქალი იმასაც საქმობს, რაც სხვაგან კაცის მოვალეობაა. ამის გამო, ქალიც ის არის, ვინც ბევრსა შრომობს. და როდესაც ხევსური აფასებს ქალს, ხელ-მძღვანელობს შრომის რაოდენობით და თითქმის სხვა არაფრით!... დიაღ, ქალია აქ რაც არის და თითქმის მთელი ავლა-დიდება ხევსურისა მასზედ არის დამოკიდებული!

ქალების შორის საქმის განაწილება, შრომის განყოფა დიასახლისას აქვს მინდობილი და რადგანაც დიასახლისობას ხევსურის შინაურს ცხოვრებაში საპატიო ადგილი უჭირავს, ამიტომ მასზედ უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. საოჯახო ცხოვრებას წესი ეჭირვება და ამ წესის წარმომადგენელი დიასახლისია. დიასახლისობა დედამთილს ეკუთვნის და თუ ოჯახში დედამთილი არ არის, ან თუ არის და ღრმად მოხუცებულია, მაშინ უფროსს ქალსა რჩება ეს მოვალეობა. თვით მოვალეობა იმაში მდგომარეობს, რომ ყველა საოჯახო, ქალის შესახები საქმე დიასახლისას უნდა ეკითხოს. რაც კი რამე გასამეტებელია ოჯახში და გასაყიდი (ყველი, ერბო, ძროხა, მატყლი და სხ.), რაც კი საჭიროა სტუმრის დასახვედრად, შინ დასაკლავად, დიასახლისის უნებურად არ შეიძლება. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დიასახლისი, ჩხუბის და უსიამოვნობის დროს, რძლებს და ოჯახის ქალებს ასამართლებს, სტუქსავს, უჯავრდება, მათ ზნეობას თვალ-ყურს ადევნებს; თუ რომელმამე რძალმა ურჩობა გაუწია, იმის ქმარს ეტყვის და გააგდებინებს. რასაკვირველია, ოჯახის გამგეობას მოცლა უნდა და ამიტომ დიასახლისა განთავისუფლებულია სხვა გვარ საქმისაგან,—იგი მხოლოდ საოჯახო წესის დარაჯია. რაკი დიასახლისას საოჯახო ძალა ხელთ უპყრია, პატივისცემაც არ აკლია,—ყველა ემორჩილება, ყველაფერი იმის სურვილისამებრ ჰკეთდება და უამისოდ ხომ არც წესი იქნებოდა ოჯახში. მაგრამ ოჯახში საკაცო საქმეებიც არის. ამისათვის დიასახლისას გვერდით უდგია ოჯახის უფროსი, რომელსაც ხელი მიუწვდება მხოლოდ მამროვნებზედ, მათ შორის წესის დაცვაზედ...

ნ. ურბნელი

თიანეთი,
30 ნოემბერს.

ნოუზათა სამინისტრო შეერთებულია გარეშე საქმეთა სამინისტროსთან. გობლე ამ შეერთებულის სამინისტროს და აგრეთვე შინაურთა საქმეთა მინისტრად ინიშნება. ამ რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტს ფრეისინეს ხელიც აწერია. ამას გარდა ამავე გაზეთში დაბეჭდილია ცხრა დეკრეტი გობლეს მიერ ხელ-მოწერილი მინისტრთა დანიშნვის თაობაზედ. ამ დეკრეტის თანახმად: სარრიენი დანიშნულია იუსტიციის მინისტრად, დოფენი—საფინანსო მინისტრად, გენ. ბულანჟე—სამხედრო მინისტრად, ადმირალი ობე—კოლონიებისა და ზღვათა მინისტრად, ბერტელო—საერო განათლებისა, ლოკრუა—ვაჭრობისა და მრეწველობისა, ედუარდ მილიო—სახელმწიფო მუშაობათა, დეველი—სამეურნეო მინისტრად და გრანე—საფოსტო და სატელეგრაფო მინისტრად.

— გაზ. „Rappel“-ი სწერს: ბ-ნ გობლემ სიტყვა წარმოსთქვა, რომელიც ღირსია იმისი, რომ დავიხსომოთო. იმედი მაქვს, უთქვამს გობლეს, პალატის ნდობას დავიმსახურებ, არა იმითი, რომ ბევრის გაკეთებას დაგპირდეთ და კი არ აღვისრულოთ დაპირებული, არამედ ჩემის საქმეზედ თავ-დადებით და გულ-მოდგინეობითაო.

— გაზ. „Voltaire“ ამბობს: გობლეს ჩვენთვის არავითარი მიზეზი არ მოუცია, რომ იმის სიტყვას არ ვერწმუნოთო. გობლეს პროგრამა ეხლანდელ საქმეთა მდგომარეობის შესაფერიაო. ბ-ნ გობლეს ბევრჯელ გამოუჩენია თავი საქმის ერთგულებითა და მხნეობით. მისი წარსული ცხოვრება გვამედებს, რომ გობლე თავის საქმეს რიგიანად მოეკიდებს ხელს, მით უფრო, რომ სარესპუბლიკო დასი იმას მომხრეობსო.

დეპეშა

10 დეკემბერი

სოფია. მართლდება ის ამბავი, რომ გრაფ ბისმარკს რჩევა მიუცია ბოლგარიის დეპუტატებისათვის, რუსეთის სურვილი აასრულეთო. ამ სურვილის ასრულება ის იქნება თუ მთავრად ამოირჩევთ სამეგრელოს თავადს ნიკოლოზსაო.

ის ამბავი, ვითომ ოსმალეთის ელჩს ბერლინში მთავარ ნიკოლოზის ამორჩევა არ ურჩევიაო, ტყუილი გამოდგა, ამიტომ რომ დეპუტატების დეპეშაში ბოლგარიის მთავრობის მიმართ ამ საგანზედ არა არის რა მოხსენებული.

11 დეკემბერს.

პეტერბურგი. გაზეთებმა ხმა დააგდეს, ვითომ საზღვარ გარედ შეკვეთილი ორთქლით-მატარებლები. გზათა სამინისტრო უარსა ჰყოფს ამ ამბავს და საყოველთაოდ აცხადებს, რომ 1878 წლიდამ სამინისტრომ არაფერი მაგვარი რკინის გზისათვის საზღვარ გარეთ არ შეუკვეთნია.

პარიჟი. აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ საფრანგეთში ქარ-ბუქების გამო რკინის გზით მიმოსვლა შეყენებულია.

დრეზდენი. ქარ-ბუქების გამო საქსონის ბევრს ქალაქებ შუა რკინის გზით მიმოსვლა შემდგარია და ფოსტა მარხილებით გადააქვთ.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჲო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

დეკემბერი 31 დღით არის

12 დღე პარასკევი. ღირს. ეპისკ. სპირიდონისა. სომეხ. ნახატონაქი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—59—52, ტფილისში მზე ამოდის 7—25, ჩადის 4—35; მთვარე ამოდის 6—14, ჩადის 3—53.

13 დღე შაბათი. წმ. მოწ. ესტატესი, ავსენტისა, ევგენისა, და სხვ. კათოლ. წმ. ქალწ. მოწ. ლუიზასი. სომეხ. წმ. იაკობ მწინის მამამთავარისა და სხვ. მუსულ. 1 რიცხვი თთვისა რები-ულ-ახირისა 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—39. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36; მთვარე ამოდის 7—11, ჩადის 4—43. დაბადება მთვარისა დილის 12 საათსა და 55 წუთზედ.

14 დღე კვირა. წმ. თვირსოი. კათოლ. მესამე კვირა ადვენტისა. სომეხ. მე-4 კვირა ჰისნაკის აღების-ლამითგან (ქორწინების ნება ეძლევათ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—51. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—36; მთვარე ამოდის 8—3, ჩადის 5—37.

15 დღე ორშაბათი. მოწ. ელევთერისა. ღირს. პავლესი და სტეფანესი. კათოლ. მე-8 დღე ყოვლად წმიდა ქალწულის მარიამის ლაბადებითგან. სომეხ. წმ. მამა-მთავარ ეგნატე და სხვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—21. ტფილისში მზე ამოდის 7—26, ჩადის 4—37; მთვარე ამოდის 8—49, ჩადის 6—33.

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 დეკემბრიდამ 15 დეკემბრამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	3
› 2 ›	2½ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	5 ›
› › 2—	3½ ›
› › 3 ›	3 ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	5 ›
მე-2 ხარისხისა . .	4 ›
მე-3 — . . .	3½ ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ 2 ›	6 ›
სუკი	13 ›
ცხვრის ხორცი . . .	7 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა.	6 ›
› 2 ›	5 ›

განცხადებანი

კანცელარია და ბიბლიოთეკა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა“ ღია არის: საღამოთი ყოველ-დღე, კვირას გარდა, 4—6 საათამდე; ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს დილით 8—10-მდე. კვირაობით დილის 11—1 საათამდე საღამოსი. (10—2)

ტფილისის საქალაქო გამგეობისაგან.

ტფილისის საქალაქო გამგეობა აცხადებს, რომ 16 დეკემბერს, დილის 12 საათზედ, გამგეობის მიერ დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად **კუკიის საქალაქო მამულისა**, რომელიც სივრცით 888 დესეტინა და 1800 ოთხ-კუთხი საჟენი არის. ეს მამული იჯარით გაიცემა სამის წლის ვადით, 1887 წლის 1 იანვრიდამ დაწყობილი, საქონლის საძოვებლად, სახნავ-სათესად და სხვათა სამეურნეო მოქმედებათათვის. ვისაც ჰსურს ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, ვაჭრობის პირობანი შეუძლიან ჰნახოს გამგეობის კანცელარიაში დილის 9 საათიდამ ნაშუადღევი 2 საათამდე, კვირა-უქმეების გარდა. (3—1)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1887 ГОДЪ

ЗА

иллюстрированный, художественный, литературный, семейный журналъ

„РАДУГА“

V-Й ГОДЪ ИЗДАНІЯ.

БЕЗЪ ДОСТАВКИ на 1887 годъ 5 РУБ.

съ доставкой и пересылкой гг. иногороднымъ на 1887 годъ 6 РУБ.

Чутко прислушиваясь къ требованіямъ русской интеллигентной публики, Редакція „РАДУГИ“ постоянно и внимательно стараясь усовершенствовать свое изданіе, достигла, наконецъ, въ 1886 году такого успѣха, какимъ до сихъ поръ не могъ похвалиться ни одинъ издаваемый въ Россіи журналъ. Подписка на 1886 году была такъ сильна, что Редакція въ началѣ года не была въ состояніи сразу удовлетворить всѣхъ подписчиковъ, и вынуждена была выпустить четыре изданія, т. е. четыре раза допечатывать всѣ вышедшіе уже номера, чтобы имѣть возможность удовлетворить большой наплывъ вновь поступающихъ подписчиковъ и, несмотря на все это, уже въ серединѣ года, Редакція была поставлена въ необходимость заявить въ газетахъ, что она оставляетъ за собою право прекратить дальнѣйшій пріемъ подписки, на 1886 годъ, такъ какъ отъ всѣхъ четырехъ изданій, къ тому времени, осталось только нѣсколько десятковъ экземпляровъ. Такое усиленное требованіе на „РАДУГУ“, слѣдовательно, доказываетъ, насколько соотвѣтствуетъ журналъ духу времени, насколько онъ удовлетворяетъ общей надобности и вкусу.

Русская періодическая печать почти единогласно признала успѣхъ „РАДУГИ“,—успѣхъ. достигнутый громадными и постоянными жертвами со стороны Редакціи, идущей неуклонно впередъ по разъ намѣченному пути, и поставившей себѣ цѣлью,—дать возможность всякому, за низкую плату, пользоваться хорошимъ, всестороннимъ и притомъ изящнымъ журналомъ.

Въ настоящее время „Радуга“ уже не нуждается въ рекламѣ, она проложила себѣ дорогу, и можетъ гордиться сознаніемь—что не только въ Россіи, но даже заграницей не существуетъ другаго журнала, который за такую малую цѣну далъ бы такую массу разнообразнаго матеріала, такъ много безплатныхъ литературныхъ и музыкальныхъ приложеній и сверхъ всего, такую прекрасную безплатную премію, какую даетъ своимъ подписчикамъ „Радуга“.

ВЪ „РАДУГѢ“ ПРИНИМАЮТЪ УЧАСТІЕ СЛѢДУЮЩІЕ, ХОРОШО ИЗВѢСТНЫЕ РУССКОЙ ЧИТАЮЩЕЙ ПУБЛИКѢ, ЛИТЕРАТУРНЫЯ ИМЕНА:

Н. П. Аксаковъ.
Вл. Александровъ.
В. П. Бефани.
П. П. Бобровъ.
Р. гарднеръ.
И. П. Деспотули.
Д. С. Дмитріевъ.
М. К. Іогель.
В. А. Крыловъ (Александровъ).
Н. С. Лѣсковъ.
А. Н. Майковъ.
Д. Д, Минаевъ.
И. М. Невѣжинъ.
Вл. Ив. Немировичъ-Данченко,
Л. И. Пальминъ.
Я. Паперъ
Н. А. Потѣхинъ.
А. Плещеевъ.
Л Ретюнская.
Князь Сумбатовъ (Южинъ).
В. Статкевичъ-Добрыва.
Ник. Угрюмовъ.
Фальковскій.
С. Н. Филипповъ.
П. В. Флотовъ.
Н. А. Чаевъ.
С. А. Юрьевъ.
М. Яронъ.
П. М. Ѳеодоровъ (редакторъ "Новаго Времени"). Н. и другіе.

Въ 1887 году будитъ продолжать участвовать лучшія литературныя силы, число которыхъ постоянно увеличивается.

Въ портфелѣ Редакціи находится масса, полныхъ живѣйшаго интереса, романовъ, повѣстей, разсказовъ, драматическихъ сочиненій и т. д., предназначенныхъ къ напечатанію къ «Радугѣ» 1887 года, между прочими слѣдующія:

„Татьяна Тулузина“ большой романъ М. К. Іогеля. Продолженіе романа „Слѣпцы“.
„Подъ шумъ большаго города“. Эскизы столичной жизни С. Н. Филиппова.
„Мятежникъ“ Фотограф. негативъ В. П. Бефани.
„Репьевы“. Повѣсть И. Деспотули.
„Купріяновъ и Полушкинъ“. Набросокъ карандашемъ В. П. Бефани.
„Исторія Смѣха“. Юмористическій очеркъ Н. П. Аксакова.
„Тоска по Идеалу“. Романъ И. П. Деспотули.
„Савва Ильичъ“. Комедія фарсъ въ 4 дѣйствіяхъ—продолженіе пьесы „Разрушеніе Помпеи“ Д. А. Мансфельда.
„Бѣдокурка“. Комедія въ 4 дѣйствіяхъ П. М. Невѣжина и много другихъ.

Въ «Радугѣ» 1887 года, по примѣру прошлаго года, будутъ помѣщены нѣсколько премированныхъ ребусовъ.;

Укрѣпляя такимъ образомъ за „РАДУГОЙ“ пріобрѣтенную ею репутацію самаго всесторонняго, самаго полнаго еженедѣльнаго иллюстрированнаго, семейнаго журнала Россіи, Редакція вмѣстѣ съ тѣмъ и въ 1887 году не ограничится тѣмъ составомъ, которымъ „Радуга“ до сихъ поръ отличалась передъ другими подобными журналами, а

дастъ въ 1887 году, къ существующимъ уже еще одно новое безплатное приложеніе, а именно:

ЮМОРИСТИЧЕСКІЙ АЛЬБОМЪ РАДУГИ

здоровый, безобидный юморъ, анекдоты, юмористическіе разсказы, приключенія, шутки и т. д. со множествомъ иллюстрацій въ текстѣ къ разсказамъ и анекдотамъ.

ТАКИМЪ ОБРАЗОМЪ, КАЖДЫЙ ПОДПИСЧИКЪ РАДУГИ ПОЛУЧИТЪ ВЪ ТЕЧЕНІИ ГОДА:

50 №№ журнала „Радуга“
25 №№ журнала „Сцена и Аккордъ“
12 №№ журнала „Салонъ“.
12 №№ журнала „Парижскія Моды“.
6 №№ журнала „Дачная жизнь“.
25 №№ нотъ (около 50 піесъ въ годъ).

И СВЕРХЪ ВСЕГО ЭТОГО СОВЕРШЕННО БЕЗПЛАТНО РОСКОШНУЮ ПРЕМІЮ,

ДЕНЬ И НОЧЬ.

(АЛЛЕГОРІЯ).

Великолѣпная олеографическая картина, художественно-исполненная въ лучшемъ артистическомъ заведеніи заграницей, Подписчики „РАДУГИ“ хорошо знаютъ, какъ щедра Редакція на свои преміи. Она не жалѣетъ средствъ, чтобы доставить своимъ подписчикамъ лучшее, что только существуетъ въ этомъ родѣ. За преміи предъидущихъ годовъ Редакція получила множество признательныхъ отзывовъ и благодарственныхъ писемъ, а о преміи 1886 года „Юдиѳь“ былъ общій отзывъ, что „такой преміи еще не было“. Премія же 1887 года

„ДЕНЬ И НОЧЬ“

превосходитъ далеко даже премію 1886 года, и мы смѣло можемъ сказать, что и въ этомъ отношеніи мы внѣ конкурренціи: лучшей преміи даже трудно себѣ представить. Премія эта будетъ совершенно безплатная, и ни за пересылку по почтѣ, ни за упаковку Редакція никакой дополнительной платы не потребуетъ.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА НА 1887 ГОДЪ:

Безъ доставки въ Москвѣ . . . . 5 руб.
Съ доставкой въ Москвѣ и пересылкой во всѣ города Россійской Имперіи, считая и упаковку, и пересылку и страховыя преміи . 6 „
Заграницу съ пересылкою . . . . 8 „
На ½ года съ доставкою и пересылкою во всѣ города Россійской Имперіи . . . . 4 руб.
На три мѣсяца . . . . 2 „

Подписка принимается во всѣхъ извѣстныхъ книжныхъ магазинахъ Россіи. Въ С.-Петербургѣ въ отдѣленіяхъ Конторы Редакціи „РАДУГИ“ 1) при книжномъ магазинѣ ФЕНУ и К-,°, на невскомъ проспектѣ близь Пассажа; 2) при конторѣ Ф. Петрикъ, Невскій пр. № 8,

Гг. *иногородные подписчики адресують прямо въ Редакцію журнала „РАДУГА“, Москва, Столешниковъ переулокъ, домъ Карзинкина.*

Допускается разсрочка подписной платы: при подпискѣ 2 руб., 1-го марта 2 руб., 1 іюня 1 руб. и 1-го сентября 1 руб.

Гг. служащіе могутъ подписаться за ручательствомъ своихъ казначеевъ съ разсрочкой при подпискѣ 1 руб.—затѣмъ, остальныя деньги ежемѣсячно по 50 коп.

(5—2) Редакторъ **Д. А. Мансфельдъ.** Издатель **Л. Метцль.**

Дозв. ценз. Тиф. 11 декабря, 1886 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караван-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე